ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№68. 682406112**

თარიღი:**01/03/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

ა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ლურსმანაშვილი კობა - მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე

ჭიპაშვილი ვარლამი - მერის პირველი მოადგილე -თანათავმჯდომარე

დევდარიანი დავითი - მერის მოადგილე

ნემსაძე ჟანა - მერის თანაშემწე

გოლუბიანი კახაბერი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

გელაშვილი ვლადიმერი - საფინანსო-საბიუჯ. სამსახური უფროსი -სამუშაო ჯგუფის კოორდ.

შარიქაძე პეტრე - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყ. სამსახურის უფროსი

იჩქიტიძე ზურაბ - სახელმწიფო შესყ. და მატერიალურ-ტექნიკ. სამსახურის უფროსი

კიკნაძე ნანა - ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ლურსმანაშვილი ინგა - ეკონომიკისს და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

ჩხეიძე ირინა - კულტურის, განათლების სპორტ. და ახალაგზრდ. სამსახურის უფროსი

ბანცაძე ზურაბი - ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

კვინიკაძე მარინა - იურიდიული განყოფილების უფროსი

მაღლაკელიძე ნინო - საფინანსო-სახაზინო განყოფილების უფროსი

დვალიშვილი ეკა - საფინანსო-სახაზინო განყოფილების სპეციალისტი

სებისკვერაძე ლალი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი

შერგელაშვილი რევაზი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი

ბ) 2025-2028 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N1-ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები N 2-5 დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ბატონ ვლადიმერ გელაშვილს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი N1) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

ბ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

დ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომაობასთან დაკავშირებით;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 6-7 დანართის შესაბამისად.

3. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

ა) მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2025 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში საპილოტე პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;

ბ) გენდერული ბიუჯეტის განხორციელების პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

გ) სამუშაო ჯგუფის სხდომებზე, გენდერული ბიუჯეტის საკითხების განხილვის დროს, უზრუნველყოფილი იქნას გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლების (თავმჯდომარე, მდივანი და სხვა დაინტერესებული პირები), მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა და მონაწილეობა;

4. საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

5. სამუშაო ჯგუფი იკრიბება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ, შეხვედრაზე განხილული იქნება განხორციელებული აქტივობები და დაიგეგმება შემდგომი ღონისძიებები.

6. ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობასა და შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მერის პირველ მოადგილეს (ვარლამ ჭიპაშვილი).

7. ბრძანება ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი